საქართველოში დასაქმებულთა გადინების მიზეზები საბანკო სექტორში

სოფიკო კაკუშაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება

ხელმძღვანელი: საბა ჯაჯანიძე, ასისტენტ პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო კაკუშაძე

2021

აბსტრაქტი

ყველა კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს განვითარებისკენ სწრაფვა. ამ პროცესში მნიშვნელოვანია ადამიანური რესურსების ეფექტური მართვა და სწორი სტრატეგიების შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა განვითარებას და საუკეთესო კადრების შენარჩუნებას. კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში, საბანკო სექტორში თანამშრომელთა გადინების მიზეზების ძიება.

კომპანიიდან თანამშრომელთა გადინების ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიიჩნევა მოტივაციის არ ქონა, რაც უბიძგებთ მათ იყვნენ უკეთესი სამსახურის მუდმივ ძიებაში. მოტივაციის შექმნა და მისი შენარჩუნება კომპლექსური საკითხია, რადგან ის პირდაპირ კავშირშია ადამიანის ღირებულებებსა და ინდივიდუალურობასთან. ორგანიზაციის მხრიდან, ორგანიზაციული კულტურის შექმნა და დამკვიდრება კი მკვეთრად შეამცირებს თანამშრომელთა გადინების ნეგატიურ შედეგებს. ჩატარებული კვლევის შედეგად, თანამშრომელთა გადინების მეორე მთავარ ფაქტორად დასახელდა კომპანიის მხრიდან შიდა და გარე ტრენინგების არ არსებობა. ასევე, ისეთი წამახალისებელი ინსტრუმენტების არ ქონა, როგორიცაა საბონუსე სისტემა და პრემიები.

კვლევის შედეგებიდან გამომდინარე შემუშავდა რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინებაც დიდ წვლილს შეიტანს თანამშრომელთა გადინების მიზეზების აღმოფხვრაში. კერძოდ, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალურობა, რათა მოხდეს პროფესიული წინსვლის სტრატეგიის შემუშავება. ასევე მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს ეფექტურ ტრენინინგებს, რადგან წარმატებული და კვალიფიცირებული თანამშრომელი კომპანიის მთავარი აქტივია.

საკვანძო სიტყვები: საბანკო სექტორი, გადინება, თანამშრომლები, მიზეზები.